გამარტივებული შესყიდვით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ინტერნეტით მომსახურების
ხელშეკრულება №2

საქართველო, ქ. ბათუმი 25 იანვარი 2016 წელი

ააიპ. ბათ ტურისტ ობიექტების მართვის სააგენტო, წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე თევზაძის სახით (შემდგომში „აბონენტი") ერთის მხრივ და სს „სილქნეტი", წარმოდგენილი მისი გაყიდვების წარმომადგენლის ნატა გერგედავას სახით (შემდგომში „კომპანია"), მეორეს მხრივ, დებენ ამ ხელშეკრულებას- შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის 'ს" ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე -

კომპანია გადასცემს აბონენტს უკაბელო ინტერნეტის მოდემს დროებით სარგებლობაში და უზრუნველყოფს მომხმარებელის უკაბელო ინტერნეტის ქსელით 24 (ოცდაოთხ) საათიან მომსახურებას (შემდგომში „მომსახურება") შემდეგი პირობებით:

	ობიექტის დასახელება	კლასიფიკატორის	თანხა	შენიშვნა
1		კოდი	(ლარი)	
	ქსელები(უკაბელო ინტერნეტის	72400000	1800.00	
	ქსელით მომსახურება)			
	სულ:		1800.00	

ანგარიშის ნომერი	VTELGEMAXIMALI036796
ინტერნეტ სერვისი	P2P_1_Mgps
სიჩქარე, კბიტ/წმ	1 მგბ
ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი	140.00 ლარი
გადასახადიმოდემით/მოდემებითსარგებლობისათვის	10.00 ლარი
მოდემის ფასი	160.00 ლარი
CPE მოწყობილობა (მოდემი)	P2P NanoBridge M5
ინსტალაციის საფასური(ერთჯერადი გადასახადი)	0 ლარი
დამატებითი სერვისები	
დომეინი	2
ვებ-სივრცე	800 Mb
საფოსტო ყუთების რაოდენობა	20
საფოსტო ყუთების საერთო მოცულობა	1000 Mb
მისამართი სადაც აბონენტი ძირითადი დროის განმავლობაში იყენებს ინტერნეტს	ბათ. ზღვისპირა პარკი

2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1 **აბონენტი:**

- უფლებამოსილია მიიღოს მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით;
- უფლებამოსილია კომპანიის წერილობითი თანხმობით, გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღების უფლება;
- უფლებამოსილია მიიღოს უფასო სატელეფონო კონსულტაცია მომსახურების თაობაზე, კომპანიის ცხელი ხაზის უფასო სატელეფონო ნომრების მეშვეობით;
- ვალდებულია სათანადოდ გამოიყენოს (ექსპლუატაცია გაუწიოს) ხელშეკრულების მე-4 მუხლში აღნიშნულ ტექნიკურ საშულებებებს;
- ვალდებულია გამოუყოს კომპანიას ერთი საკონტაქტო პიროვნება;

ალდებულია არა უგვიანეს 24 (ოცდაოთხი) საათის განმავლობაში შეატყობინოს კომპანიას მომსახურების ხარვეზების შესახებ. ;

აბონენტის მოთხოვნის შესაბამისად, კომპანიის მიერ აბონენტისათვის მოდემში შესაღწევი პაროლის გადაცემის შემთხვევაში, ვალდებულია პასუხი აგოს მოდემის ფაცულობასა და უსაფრთხოებაზე, ასევე, მოდემის მესამე პირებისათვის გადაცემის გამო დამდგარ შედეგებზე;

- ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს კომპანიას მოდემის მოპარვის შემთხვევაში, ან მისი მფლობელობიდან მოდემის სხვა, არამართლზომიერი გზით გასვლის შესახებ.
- ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების ყოველთვიური საფასური წინასწარ, ხოლო საინსტალაციო და სხვა ტექნიკური სამუშაოების საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე;
- ვალდებულია წინასწარ წერილობით შეატყობინოს კომპანიას მომსახურებაში ნებისმიერი სახის ცვლილების სურვილის შესახებ.

2.2 კომპანია:

- უფლებამოსილია აბონენტის წინასწარი წერილობითი ან სატელეფონო შეტყობინებიდან 3 (სამ) კალენდარულ დღეში, ცალმხრივად, ვადაზე ადრე მოშალოს ხელშეკრულება, შეწყვიტოს ან შეზღუდოს მომსახურება იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას ან პირობას;
- ცალმხრივად გაზარდოს ანაზღაურების თანხის ოდენობა: (ა) თუ ძალაში შევა ისეთი ნორმატიული აქტი, რაც პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენას ახდენს კომპანიის ვალდებულებებზე მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით (მაგ: გადაიხადოს გადასახადები და/ან მოსაკრებლები უფრო დიდი ოდენობით, ვიდრე ის მომსახურების გაწევის გამო ვალდებულია გადაიხადოს ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის); (ბ) თუ ლარის კურსი ა.შ.შ. დოლარის მიმართ განიცდის მკვეთრ ვარდნას ხელშეკრულების ხელმოწერის დღისთვის არსებულ კურსთან შედარებით 5 (ხუთი) ან მეტი პროცენტის ოდენობით. ანაზღაურების თანხის ასეთი გაზრდა ძალაში შედის კომპანიის მიერ აბონენტის 1 (ერთი) კვირით ადრე წერილობითი (ფაქსი, ელ-ფოსტა) შეტყობინების გაგზავნის შემდეგ;
- მოსთხოვოს აბონენტს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების თანხის ანაზღაურება ყოველთვიურად, ხოლო საინსტალაციო და სხვა ტექნიკური სამუშაოების ანაზღაურება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე;
- უფლებამოსილია დაუწესოს აბონენტს შეზღუდვა მონაცემთა მიღების სიჩქარეზე ადგილობრივი რესურსებიდან დიდი ზომის ფაილების ჩამოტვირთვისას აბონენტის წინასწარი გაფრთხილების გარეშე;
- აბონენტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პერიოდულობით თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, წერილობით (ელექტრონული ფორმით) აფრთხილებს აბონენტს დავალიანების არსებობის შესახებ და უსაზღვრავს მას წერილობითი გაფრთხილების გაგზავნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადას. იმ შემთხვევაში, თუ გაფრთხილების პერიოდის განმავლობაში, მის ამოწურვამდე აბონენტი არ დაფარავს დავალიანებას, კომპანია უფლებამოსილი იქნება შეწყვიტოს მომსახურება, აბონენტის მიერ დავალიანების სრულად დაფარვამდე.

3. ანაზღაურება და ანგარიშსწორების წესი

3.1 მომსახურების სანაცვლოდ, აბონენტი:

(ა) ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ერთჯერადად გადაუხდის კომპანიას ხელშეკრულების 1 მუხლში მითითებულ გადასახადს მომსახურების აქტივაციისათვის;

(ბ) ყოველთვიური სააბონენტო გადასახადისა და მოდემით დროებითი სარგებლობის ღირებულების გადახდა განხორციელდება ანგარიშფაქტურის საფუძველზე. ანაზღაურების თანხის გადახდა უნდა მოხდეს ანგარიშფაქტურის გამოწერის დღიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით. (შემდგომში „**სააბონენტო გადასახადი**").

(გ) აღნიშნულ ვადაში, სააბონენტო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, აბონენტს გაეთიშება მომსახურება და დაეკისრება დავალიანების გადახდის ვალდებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში); მომსახურების გათიშვისთანავე აბონენტს განესაზღვრება ვადა მომდევნო თვის შემდეგი თვის მე–5 სამუშაო დღის ჩათვლით, სააბონენტო გადასახადის გადახდის, ან ინტერნეტ მოდემის დაბრუნებისათვის. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვადაში არ მოხდება სააბონენტო გადასახადის ანაზღაურება, ან მოდემის დაბრუნება, ამ ვადის გასვლისთანავე, მოდემის დაუბრუნებლობის შემთხვევაში კომპანიას უფლებამოსილია აბონენტს დამატებით დააკისროს მოდემის სარეალიზაციო ღირებულება

3.2 ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში ტექნიკური საშუალებები წარმოადგენენ კომპანიის საკუთრებას.

3.3 ანგარიშსწორება წარმოებს კომპანიის უნაღდო ანგარიშსწორების წესით კომპანიის მიერ მითითებულ საბანკო რეკვიზიტებსა და სერვის ცენტრებში;

3.4 კომპანია აწარმოებს ანგარიშფაქტურის გამოწერას ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის პირველ რიცხვში.

4. ტექნიკური საშუალებების გადაცემა, მონტაჟი, ინსტრუქტაჟი. მიღება_ჩაბარების აქტი

4.1 კომპანია მისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნებისთვის აბონენტს დროებით სარგებლობაში, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდის განმავლობაში გადასცემს შესაბამის ტექნიკურ საშუალებებს (შემდგომში „**ტექნიკური საშუალებები**") და უზრუნველყოფს მათ სათანადო მონტაჟს.

4.2 ტექნიკური საშუალებების აბონენტისათვის გადაცემა მოწმდება შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა ხელმოწერით. მიღება-ჩაბარების აქტში აღნიშნული იქნება ტექნიკური საშუალებების დასახელება და სხვა მახასიათებლები. ტექნიკური საშუალებების აბონენტისათვის გადაცემისას, მას ჩაუტარდება ტექნიკური საშუალებების სათანადო გამოყენების (ექსპლუატაციის) ინსტრუქტაჟი. მიღება-ჩაბარების აქტზე აბონენტის ხელმოწერა ადასტურებს, რომ:

- აბონენტს გადაეცა ტექნიკური საშუალებები ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში;
- აბონენტთან უნაკლოდ და სრულად დამონტაჟდა ტექნიკური საშუალებები;
- დაიწყო მომსახურება; და
- აბონენტს ჩაუტარდა ტექნიკური საშუალებების სათანადო გამოყენების (ექსპლუატაციის) ინსტრუქტაჟი და რომ აბონენტმა გაიგო და ზუსტად იცის ტექნიკური საშუალებების სათანადო გამოყენების (ექსპლუატაციის) წესები.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები.

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. სახელშეკრულებო თანხა მოიცავს 1800.00 (ათას რვაას ლარს და 00 თ.)

5.2 ხელშეკრულების 5.1 მუხლში მითითებულ ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია წინასწარ, მიმართოს კომპანიას წერილობით, რის შესახებაც მხარეთა შორის გაფორმდება შეთანხმება, რომლის საფუძველზეც, აბონენტი ვალდებულია დაუბრუნოს კომპანიას ტექნიკური საშუალება. კომპანია ამოწმებს ტექნიკური საშუალების მდგომარეობას. ტექნიკური საშუალების დაზიანებისათვის აბონენტს დაეკისრება ვალდებულება დაზიანებული საშუალების აღდგენის (ასეთის შესაძლებლობის შემთხვევაში), ან სრული ღირებულების (აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში) დაფარვისათვის.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 კომპანია არ არის პასუხისმგებელი მომხმარებლის მიერ ინტერნეტის ქსელში გადაცემული მონაცემების და/ან ინფორმაციის შინაარსზე, ასევე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე ან არაჯეროვან შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია მომხმარებლის მიერ ტექნიკური საშუალებების არასათანადო გამოყენებით (ექსპლუატაციით), დაზიანებით, განადგურებით ან დაკარგვით.

6.2 ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მომხმარებელი პასუხისმგებელია ტექნიკური საშუალებების დაზიანებაზე, დაკარგვასა და განადგურებაზე, ტექნიკური საშულებების დაზიანების, განადგურების ან დაკარგვის შემთხვევაში მომხმარებელი კომპანიის წერილობითი მოთხოვნიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში ვალდებულია გადაუხადოს კომპანიას ტექნიკური საშუალების ღირებულება. ტექნიკური საშულებების სათანადო გამოყენებით (ექსპლუატაციით) გამოწვეული ცვეთა მხედველობაში არ მიიღება.

6.3 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის, თუ აღნიშნული შეუსრულებლობა/არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით/გარემოებებით, რომელთა დადგომისას/არსებობისას მხარე, მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მოკლებული იყო შესაძლებლობას შეესრულებინა/ჯეროვნად შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები (შემდგომში „**ფორს-მაჟორი**"). თითოეული მხარე ვალდებულია ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შესახებ დაუყოვნებლივ, მაგრამ ასეთი გარემოების დადგომიდან არაუგვიანეს 48 (ორმოცდარვა) საათისა, აცნობოს მეორე მხარეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ, მხარე კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორული გარემოებებს, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის საფუძველს. ფორს-მაჟორულ გარემოებებს განეკუთვნება (მაგრამ არ შემოიფარგლება): ყველა სახის სტიქიური უბედურება-მიწისძვრა, წყალდიდობა, ქარიშხალი, ქარბუქი, დიდთოვლობა და სხვა, ეპიდემია, პანდემია, სამოქალაქო არეულობა, აჯანყება, გაფიცვა, საბოტაჟი, ბლოკადა, საომარი მოქმედება, სამოქალაქო ომი, ომი, საჰაერო საგნის ზემოქმედება, საქართველოს კანომდებლობაში მომხდარი ცვლილებები, კომპანიის ავარიული სიტუაცია, თუ ეს ავარიული სიტუაცია შეიქმნა კომპანიისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო და სხვა (მესამე პირის ბრალეული ქმედება და სხვა).

კომპანია პასუხისმგებლობას იღებს აბონენტისათვის გადაცემული მოწყობილობის გამართულ ტექნიკურ მდგომარეობაზე. იმ შემთხვევაში, თუ გადაცემულ მოწყობილობას აღმოაჩნდება ისეთი ქარხნული წუნი, ან დეფექტი, რაც ხელს უშლის მოწყობილობის გამართულ ფუნქციონირებას, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, აბონენტი ვალდებულია წარმოადგინოს მოწყობილობა კომპანიის სერვის ცენტრში, სადაც ქარხნული წუნის დადასტურების შემთხვევაში, კომპანია მოახდენს მოწყობილობის შეცვლას, კომპანიის შიდა პროცედურების შესაბამისად. ამ მუხლში მითითებული ვადის გადაცილებით წარმოდგენილი მოწყობილობა არ ექვემდებარება საგარანტიო მომსახურებას. კომპანია ასევე უსაზღვრავს აბონენტს ვადას ინტერნეტის სიგნალის შესამოწმებლად. აბონენტი ამოწმებს მომსახურების ხარისხსა და სიგნალის გამართულ მუშაობას, ხოლო ხარვეზის აღმოჩენისთანავე, დაუყოვნებლივ, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში ატყობინებს ამის შესახებ კომპანიას ცხელი ხაზის მეშვეობით. კომპანიის ტექნიკური თანამშრომელი ვალდებულია მიიღოს ყველა შესაძლო ზომა ხარვეზის აღმოსაფხვრელად. ისეთ შემთხვევაში, თუ მიღებული ზომების მიუხედავად, მიწოდებული ინტერნეტის სიგნალი არ მუშაობს, ან მუშაობს მნიშვნელოვანი ხარვეზებით იმ მისამართზე, რომელიც დაფიქსირებულია ხელშეკრულებაში და სადაც აბონენტი ძირითადი დროის განმავლობაში იყენებს მომსახურებას, აბონენტს კომპანიის ტექნიკური წარმომადგენელი გადასცემს ხელმოწერილ ცნობას, რომლის საფუძველზეც აბონენტს უფლება ექნება მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა და გადახდილი თანხის უკან დაბრუნება კომპანიაში დადგენილი წესით. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში ხელშეკრულების შეწყვეტის დროს გადახდილი თანხა აბონენტს არ დაუბრუნდება უკან, თუმცა კომპანია იტოვებს უფლებას კომპანიის გადაწყვეტილებით ინდივიდუალურად განიხილოს კონკრეტული აბონენტის შემთხვევა და მიიღოს ამ მუხლით დადგენილისგან განსხვავებული გადაწყვეტილება.

7. სხვა პირობები

7.1 ეს ხელშეკრულება შედგენილია და იმართება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ხელშეკრულების ცალკეული დებულების საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ ან ბათილად ცნობა არ იწვევს ხელშეკრულების ან მისი სხვა დებულებების ბათილობას. ხელშეკრულების რომელიმე დებულების საქართველოს კანონმდებლობასთან ბათილობის ან შეუსაბამობის შემთხვევაში, მხარეები შეეცდებიან შეცვალონ საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულება ისეთი დებულებით, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს საქართველოს კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულების არსსა და შინაარსს.

7.2 ხელშეკრულების ყოველი დამატება, ცვლილება ან შესწორება ფორმდება დანართის სახით მხოლოდ წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი უნდა იქნას ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ. ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

7.3 მხარეებს შორის წარმოშობილი ყველა სადაო საკითხი წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავა განსახილველად გადაეცემა საქართველოს სასამართლოს.

7.4 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში თუკი განხორციელდა რაიმე ისეთი ცვლილება (მხარის მისამართი, საბანკო ანგარიშის, საკონტაქტო პირის ან სხვა) ან მხარისათვის ცნობილი გახდა რაიმე ისეთი გარემოების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მხარეთა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებათა შესრულებაზე/ჯეროვან შესრულებაზე, ის ვალდებულია 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში აცნობის ამის შესახებ მეორე მხარეს.

7.5 წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება მათ უფლებამონაცვლე ორგანიზაციებზე.

7.6 ეს ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი რჩება მომხმარებელს, ხოლო მეორე - კომპანიას.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

სს „სილქნეტი"
მის: წინამძღვრიშვილის #95
ს/კ 204566978
ბანკი „საქართველოს ბანკი"
ანგარიშსწორების ანგარიში:
GE43BG0000000603690400GEL
საკონტაქტო ნომერი: 110004
ელ. ფოსტა: office@vtel.ge
(წარმომადგენლის სახელი, გვარი)
_____

„აბონენტი"
ააიპ ბათ ტურისტ ობიექტების მართვის სააგენტო
მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ., N25
ს/კ; 445475405
ბანკი:
ბანკის კოდი:
ანგარიშსწორების ანგარიში:
საკონტაქტო ნომერი/მობ: 599313030
ელ. ფოსტა: turistuliobieqtebi@gmail.com
ფაქსი: _____
(წარმომადგენლის სახელი, გვარი) ალექსანდრე თევზაძე
_____ (ხელმოწერა)

ტექნიკური საშუალებების
მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. ბათუმი, საქართველო

25 იანვარი 2016 წელი

ააიპ. ბათ ტურისტ ობიექტების მართვის სააგენტო, („აბონენტი") და სს „სილქნეტი" („კომპანია") შორის 25.01.2016 წელს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, კომპანია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნებისთვის მომხმარებელს გადასცემს, ხოლო მომხმარებელი იბარებს კომპანიისგან შემდეგ ტექნიკურ საშუალებებს.

ტექნიკური საშუალება/ტექნიკური საშუალებები (აპარატურა): P2P NanoBridge M5

სერიული ნომერი _____
MAC მისამართი 1144F-002722B2C335

ამ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით დასტურდება აბონენტის მიერ კომპანიისგან ტექნიკური საშუალების/ტექნიკური საშუალებების (აპარატურის) ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში მიღების ფაქტი. ასევე დასტურდება, რომ კომპანიამ დაასრულა საინსტალაციო სამუშაოები (ჩართო ქსელში აბონენტი) და დაიწყო აბონენტის მომსახურება ხელშეკრულების პირველი პუნქტში აღნიშნული პირობების შესაბამისად.

მომხმარებელი ასევე ადასტურებს, რომ მას ჩაუტარდა ინსტრუქტაჟი ტექნიკური საშუალების/ტექნიკური საშუალებების გამოყენებასთან/ექსპლუატაციასთან დაკავშირებით და რომ მომხმარებელმა გაიგო და ზუსტად იცის ტექნიკური საშუალებების სათანადო გამოყენების (ექსპლუატაციის) წესები.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

სს „სილქნეტი"
მის: წინამძღვრიშვილის #95
ს/კ 204566978
ბანკი „საქართველოს ბანკი"

ანგარიშსწორების ანგარიში:
GE43BG0000000603690400GEL
სკონტაქტო ნომერი: 110004
ელ. ფოსტა: office@vtel.ge
(წარმომადგენლის სახელი, გვარი)
_____

„აბონენტი"
ააიპ ბათ ტურისტ ობიექტების მართვის სააგენტო
მის: ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ., N25
ს/კ : 445475405
ბანკი:
ბანკის კოდი:
ანგარიშსწორების ანგარიში:
საკონტაქტო ნომერი/მობ: 599313030
E-mail: turistuliobieqtebi@gmail.com
ფაქსი: _____
(წარმომადგენლის სახელი, გვარი) ალექსანდრე თევზაძე
_____ (ხელმოწერა)